



2009 წლის 30 ნოემბერს სოხუმის უნივერსიტეტს სტუმრობდა ნატოს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ბატონი ზბიგნევ რიბაცკი.

საგარეო ურთიერთობის სამსახურში გამართულ შეხვედრაზე პროფესორ ინდირა ძაგანიასთან ბატონმა ზბიგნევმა გამოთქვა სურვილი სოხუმის უნივერსიტეტში შეიქმნას “ნატოს კუთხე”, რომელსაც ნატოს წარმომადგენლები მოამარაგებენ ლიტერატურითა და აუდიო-ვიდეო მასალით, უკეთ გააცნობენ

სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს ნატოს მნიშვნელობაზე მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში.

ბატონ ზბიგნევ რიბაცკის შეხვდა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ჯონი აფაქიძე. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ იანვარში გაიმართება “ნატოს კუთხის” პრეზენტაცია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ბატონი ზბიგნევი წაიკითხავს ლექციას თემაზე: “პარტნიორობა მშვიდობისათვის”. პრეზენტაციას დაესწრებიან აგრეთვე ევროინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები, ელჩები, ნატოს ინფორმაციული ცენტრის ხელმძღვანელობა. ლექციის შემდეგ პასუხი გაეცემა ყველა კითხვას, რომელიც აინტერესებს სტუდენტებს.